

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონული კვლევების
სპეციალობის
მაგისტრანტის მაია ჩეკურიშვილის

სადიპლომო ნაშრომი

თემაზე: საქართველოს პოლიტიკური ტრანზიცია საბჭოთა კავშირის
დაშლის შემდეგ

ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

თბილისი

2010

სარჩევი

1. აბსტრაქტი -----	2
2. შესავალი -----	3
3. ტრანზიციის თეორიული საფუძვლები -----	5
4. ჰიბრიდული რეჟიმი / ნაცრისფერი ზონა -----	8
5. საქართველო და რევოლუცია (თეორიული ჩარჩო) -----	12
6. ტრანზიციის პრაქტიკაში და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები -----	14
7. ვარდების რევოლუცია -----	16
8. დემოკრატიის მხარდაჭერა -----	19
9. საქართველო რევოლუციის შემდეგ: მთავრობა და რეფორმები -----	23
10. სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების კუთხით არსებული მდგომარეობების ანალიზი -----	31
11. დასკვნა -----	38
12. გამოყენებული ლიტერატურა -----	40

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური ტრანზიციის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რადგანაც პოსტ-საბჭოთა პერიოდი თითქმის ოც წელიწადს ითვლის ჩვენს ქვეყანაში და დროის ამ მონაკვეთში სამჯერ მოხდა რეჟიმის ცვლა, თითოეული მათგანის დაწვრილებით განხილვა გაცილებით დიდი ნაშრომის თემა შეიძლება იყოს. ამიტომაც, აქცენტი ბოლო რეჟიმის ცვლასა და მოვლენათა განვითარების ბოლო ეტაპზე, მის მიზეზებსა და შედეგებზეა გაკეთებული და მთავარი საკვლევო კითხვა - დაადგა თუ არა ქვეყანა საბოლოოდ და შეუქცევადად დემოკრატიისკენ მიმავალ გზას?